

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ჯანო პერტაიას მიერ 2019 წელს გაწეული სამუშაოს

ანგარიში

ჩემს მიერ წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს 2019 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაწეულ სამუშაოს.

გახლავართ საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე, საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი. ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრი. საკრებულოს სხდომებთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული ზემოთ ხსენებულ კომისიებში შემოსული საკითხების განხილვასა და ბიუროს მუშაობაში.

ჩვენი ფრაქციის თანამონაწილეობით სისტემატურად იმართება საკრებულოს უმრავლესობის წევრების შეხვედრები როგორც მერიის სამსახურების წარმომადგენლებთან ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ არასამეწარმეო-არაკომერციულ იურიდიულ პირებთან, სადაც საუბარი ეხება წამოჭრილი პრობლემების მოგვარების გზებსა და შემდგომი სამოქმედო გეგმის დასახვას.

საკრებულოში წარმოვადგენ ქალაქ ჩხოროწყუს სამაჟორიტარო ოლქს. მუდმივი კომუნიკაცია მაქვს ქალაქ ჩხოროწყუს მოსახლეობასთან. ვმართავ მათთან შეხვედრებს როგორც სხვადასხვა საარჩევნო უბნების მიხედვით ასევე ინდივიდუალურ ფორმატში.

აქტიურად ვიყავი ჩართული სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებში, კერძოდ: აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის პროგრამა, სოფლის განვითარების მხარდაჭერის პროგრამა, თხილის კულტურის გადარჩენის პროგრამა და სხვა. ასევე პროექტ „ღია შეხვედრები მოსახლეობასთან“ ფორმატის გათვალისწინებით მონაწილეობა მივიღე მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ ყველა შეხვედრაში.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, მუშაობის მანძილზე შეძენილი გამოცდილებიდან გამომდინარე, უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, მაქსიმალურად ვიქნები ჩართული მოსახლეობის მიერ დაყენებულ სხვადასხვა პრობლემური საკითხების მოგვარებაში.

თარიღი: 31.10.2019 წ.